აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს

2015 წლის პროგრამების საჯარო განხილვა

5 მაისი 2014 წელი -
ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ხედვა:

მდიდარი სოფელი და უვნებელი სურსათით უზრუნველყოფილი ძლიერი ქვეყანა

მისია:

საბაზრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით კონკურენტუნარიანი, რისკებისაგან დაცული აგრარული სექტორის ჩამოყალიბება და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მიზანი 2015 წელს:

- სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა;
- რეგიონის ფერმერების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ახალი ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა;
- ალტერნატიული კულტურების გავრცელების ხელშეწყობა;
- მცენარეთა დაცვის ეფექტური ღონისძიებების ამაღლების საქმეში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
- მეცხოველეობის დარგის ხელშეწყობა რძის გადამუშავებისა და საკვებ წარმოების მიმართულებით.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრიორიტეტი

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარება

	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2015 წლის პროექტი	საკუთარი შემოსავლები
		8 041 604	**422 200**
1.	აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	**1 176 200**	
2.	ფერმერული მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	**5 276 500**	
3.	აგროსერვისის განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	**1 247 400**	**72 200**
4.	ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება	**341 504**	**350 000**

სამინისტროს მიერ 2015 წელს განსახორციელებელი ქვეპროგრამები

1. მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა, ბიუჯეტი - 250 000 ლარი;
2. სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ბიუჯეტი 500 000 ლარი;
3. მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ბიუჯეტი - 196 000 ლარი;
4. მემცენარეობის დარგში დასაქმებული ფერმერთა ხელშეწყობა მობილური შემასხურებელი აპარატებით, ბიუჯეტი - 250 000 ლარი;
5. ფერმერთა ნაკვეთებზე ნიადაგის ნაყოფიერების დონის ამაღლების მიზნით ქიმიური მელიორაციის ღონისძიებების გამოყენება, ბიუჯეტი – 248 000 ლარი;
6. მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავი წისქვილებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ბიუჯეტი – 70 000 ლარი;
7. სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის ტარა–მასალით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ბიუჯეტი – 800 000 ლარი;
8. მაღალმთიან აჭარაში მეცხოველეობის საკვები ბაზის შემდგომი განვითარების მიზნით სათიბი ფართობების გაკულტურების ღონისძიებების განხორციელება, ბიუჯეტი – 400 000 ლარი;
9. მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები, ბიუჯეტი – 400 000 ლარი;

10. მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა, ბიუჯეტი – 32 500 ლარი;

11. ხილის საშრობი დანადგარებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ბიუჯეტი – 60 000 ლარი;

12. მეციტრუსე ფერმერებისათვის მანდარინის მოსავლის დაზღვევა მოსალოდნელი ბუნებრივი რისკებისაგან დაცვის მიზნით, ბიუჯეტი – 2 000 000 ლარი;

13. თხილის მწარმოებელი ფერმერების უზრუნველყოფა მოსავლის ამღები და ჩენჩოსგან გასარჩევი დანადგარ – მოწყობილობებით, ბიუჯეტი –

70 000 ლარი.

ჯამურად ბიუჯეტი 5 276 500 ლარი;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის

მოსალოდნელი შედეგი:

- შემცირდება ფერმერთა ფიზიკური შრომის სიმძიმე;
- დაცული იქნება აგროვადები;
- გაიზრდება დროის ერთეულში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა;
- გაუმჯობესდება ხარისხი და შესაბამისად გაიზარდება ფერმერთა შემოსავლები;
- მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიებით გაშენდება ახალი ბაღები;
- შეიზღუდება ეროზიული მოვლენები;
- რეგიონში განვითარდება მეცხოველეობის დარგი და გაიზარდება პროდუქტიულობა;
- ამაღლდება ნიადაგის ნაყოფიერება;
- მეცხოველეობის დარგში გაუმჯობესდება საკვები ბაზის მდგომარეობა სათიბი ფართობების გაკულტურების გზით;

სამინისტროს მიერ 2015 წელს განსახორციელებელი მიზნობრივი ქვეპროგრამები (ლარი)

ჯამში - 5 276 500 ლარი



მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა

ბიუჯეტი - 250 000 ლარი

მიზანი:

- რეგიონში მეცხოველეობის დარგში დასაქმებულ ფერმერებზე თანამედროვე ტიპის (საოჯახო) კარაქის დამამზადებელი აპარატისა და რძის სეფერატორების მიწოდება;

- წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება;
- სოფლად არსებული მოძველებული დანადგარების თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებით ჩანაცვლება.

შედეგი - პროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს თანადაფინანსებით მიეწოდებათ:

1. 500 ერთეული თანამედროვე ტიპის სეფერატორი;
2. 50 ერთეული კარაქის დამამზადებელი მაღალტექნოლოგიებით აღჭურვილი საოჯახო ტიპის აპარატი;

„სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“

ბიუჯეტი - 500 000 ლარი

მიზანი:

- ადგილობრივი საადრეო ბოსტნეული კულტურების წარმოების ზრდა;
- წარმოებული ბოსტნეული კულტურების ნაყოფის ხარიხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება;
- ბოსტნეულის არასეზონური წარმოებუის ხელშეწყობა.

შედეგი - რეგიონის ფერმერებს გადაეცემათ 250 ცალი 50კვ.მ–იანი სათბურები და გაფანტული სახით 1.25 ჰა მიწის ფართობზე მოეწყობა ბოსტნეული კულტურების სასათბურე მეურნეობა.



`მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ნერგებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა ~

ბიუჯეტი - **196 000** ლარი,

მიზანი:

- ახალი მაღალმოსავლიანი ალტერნატიული კულტურებით ჩანაცვლება

შედეგი:

1. კაკალი 10 000 ძირი;
2. მოცვი 10 000 ძირი;
3. სუბტროპიკული ხურმა 3000 ძირი;

~მემცენარეობის დარგში დასაქმებულ ფერნერთა ხელშეწყობა მობილური შემასხურებელი აპარატებით~

ბიუჯეტი -250 000 ლარი.

მიზანი: უზრუნველვყოთ რეგიონის მოსახლეობა თანამედროვე ტიპის მცირე მობილური ტიპის დისპერსიულად შემასხურებელი აპარატებით და შევავსოთ დღეს არსებული დეფიციტი რომელიც უზრუნველყოფს სოფლად მცენარეთა დაცვის დარგში მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მოსავლიანობის როგორც რაოდენობრივი ასევე ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდას.

შედეგი – გაუმჯობესდება სიტუაცია მცენარეთა დაცვის დარგში და შემცირდება მავნებელ–დაავადებების მიერ მიყენებული ზიანი, გაიზრდება წარმოებული მოსავლის ხარისხი, შეივსება სოფლად არსებული ტექნიკის დეფიციტი.

` ფერმერთა ნაკვეთებზე ნიადაგის ნაყოფიერების დონის ამაღლების მიზნით ქიმიური მელიორაციის ღონისძიებების გამოყენება ~

ბიუჯეტი - 248 000 ლარი.

მიზანი - ქვეპროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ტენიანი სუბტროპიკული ზონისა და სხვა ქვეზონებში არსებული მაღალ მჟავიანი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა

შედეგი –. 1.ფერმერებზე მიწოდებული 3000 ტონა დეფეკაციური ტალახი;

2. განოყიერებული სასოფლო–სამეურნეო სავარგული.

` მარცვლეულისა და უხეში საკვების საფქვავი წისქვილებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა ~

ბიუჯეტი - **70 000** ლარი,

მიზანი: ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს თანაგადახდის გზით მიეწოდებათ საოჯახო წისქვილის **100** ცალი დანადგარი, რომლებიც გამოიყენება მარცვლეულისა და პარკოსნების დასაქუცმაცებლად, როგორც საკუთრივ მარცვლის ასევე ტაროსთან და ჩალასთან ერთად, რომლისგანაც შეიძლება დამზადდეს შინაური ფრინველისა და პირუტყვის კომბინირებული საკვები, რაც გააუმჯობესებს სოფლად საკვებ წარმოებაში არსებულ მდგომარეობას.

შედეგი :

- ფერმერთა ხელით შრომის შემსუბუქება,
- დროისა და დანახარჯების შემცირება;
- მარცვლეულისა და მისი თანმდევი ანარჩენი ნედლეულის მაქსიმალური ათვისება კომბინირებული პროდუქციის სახით;

სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის ტარა–მასალით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ბიუჯეტი - 800 000 ლარი

მიზანი - სასოფლო–სამეურნეო მოსავლის (ციტრუსის) აღების, შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობა;

1. ფერმერებზე მიწოდებული იქნება 100 000 ცალი პლასტმასის (პოლიმერული) 25 კგ – იანი ტევადობის ტარა;

სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის ტარა–მასალით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ბიუჯეტი - 800 000 ლარი

შედეგი -

1. ფერმერებზე მიწოდებული იქნება 100 000 ცალი პლასტმასის (პოლიმერული) 25 კგ–ანი ტევადობის ტარა, რაც უზრუნველყოფს 2500 ტონა ციტრუსის მოსავლის დასაწყობებას;
2. აგროვადებში აღებული და დაბინავებული იქნება მოსავალი, შემცირდება პროდუქციის მექანიკური დაზიანება და შესაბამისად გაიზრდება შენახვის უნარიანობა;
3. შემცირდება პროდუქციის დანაკარგები სხვადასხვა სახის სოკოვანი დაავადებებისაგან;
4. პროგრამის განხორციელების შედეგად ჩანაცვლებული იქნება ხის ტარა, პლასტმასით და ყოველწლიურად აღარ განადგურდება 1500 კუბ.მ–დე ხე–ტყე

“მაღალმთიან აჭარაში მეცხოველეობის საკვები ბაზის შემდგომი განვითარების მიზნით სათიბი ფართობების გაკულტურების ღონისძიებების განხორციელება”

ბიუჯეტი - **400 000** ლარი

მიზანი: **–** გაველურებული სათიბების რეკულტივაცია

შედეგი:

- რეკულტივირებული **500** ჰა სათიბი; წარმოებული **3 500-4000** ტონა ნედლი ბალახი,ან **1500–2 000** ტონა ხმელი იონჯის თივა;

„სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა“

ბიუჯეტი - 400 000 ლარი

მიზანი:

- ფერმერთა შრომის ნაყოფიერების ამაღლება;
- სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების აგრო ვადების დაცვით განხორციელება;
- წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდა;
- წარმოებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება;

შედეგი - პროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს თანადაფინანსებით მიეწოდებათ:

1. 100 ერთეული მოტობლოკი 6 ცხ.ძ. ძალამთრევი ლილვით;

„ მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა, “

ბიუჯეტი – 32 500 ლარი

მიზანი – ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს თანაგადახდის გზით მიეწოდებათ **50** ერთეული თაფლის საწური ციბრუტი;

შედეგი – მეფუტკრე ფერმერებზე მიწოდებულია თაფლის საწური ციბრუტი, რომელიც აამღლებს თაფლის წარმოების ტექნოლოგიას და ხელს შეუწყობს მეფუტკრეობის დარგის განვითარებას.

ხილის საშრობი დანადგარებით ფერმერთა უზრუნველყოფის ხელშეწყობა,

ბიუჯეტი – 60 000 ლარი

მიზანი – ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს თანაგადახდით მიეწოდება 50 ერთეული ხილის საშრობი დანაგარები.

ქვეპროექტის შედეგი:

- ხილის გადამუშავებული სახით რეალიზაციის ხელშეწყობა;
- იმპორტირებული ჩირის ადგილობრივი წარმოების ჩირის პროდუქციით ჩანაცვლება;
- ფერმერების შემოსავლების ზრდა.

“მეციტრუსე ფერმერებისათვის ციტრუსის მოსავლის დაზღვევა მოსალოდნელი ბუნებრივი რისკებისაგან დაცვის მიზნით “

ბიუჯეტი – **2 000 000** ლარი

მიზანი – ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის მეციტრუსე ფერმერებს თანადაფინანსების გზით დახმარება გაეწევათ ციტრუსის მოსავლის დაზღვევის საქმეში.

შედეგი:

- რეგიონის მეციტრუსეებს მიეცემათ შესაძლებლობა ისარგებლონ ხელმისაწვდომი სადაზღვეო პირობებით, რომელშიც ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს აღნიშნული პროგრამა;

- ფერმერები დაზღვეული იქნებიან მაღალი საწარმოო რისკებისაგან მოსავლის აღებამდე პერიოდში.

“თხილის მწარმოებელი ფერმერების უზრუნველყოფა მოსავლის ამღები და გასარჩევი დანადგარ – მოწყობილობებით”

ბიუჯეტი – 70 000 ლარი

მიზანი – თხილის მწარმოებელი ფერმერთა შრომის ნაყოფიერების ამაღლება და მათი თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

შედეგი – ქვეპროგრამის ფარგლებში რეგიონის ფერმერებს თანადაფინანსებით მიეწოდებათ:

- თხილის სარჩევი დანადგარი 20 ცალი;
- თხილის ამკრეფი მოწყობილობა 100 ცალი.

arasamewarmeo (arakomerciuli) iuridiuli pir
,,agroservis centri”

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „აგროსერვის ცენტრი”

პროგრამების ბიუჯეტი - **1 247 400** ლარი

საქმიანობის მიზანი და აღწერა

- სუბტროპიკული და კონტინენტალური ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლება;
- მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის დანერგვა;
- მაღალპროდუქიული წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზისა და გენოფონდის შექმნა;

- ფერმერთა და აგრომეწარმეთა ცოდნის და კვალიფიკაციის ამაღლება.

მოსალოდნელი შედეგი

- ფერმერები უზრუნველყოფილი იქნებიან თანამედროვე ტექნოლოგიით მიღებული პერსპექტიული, ჯიშთგანახლებული სარგავი მასალით;
- ჩაქვში და გვარა–ხუცუბანში შეიქმნება სანიმუშო სასათბურე მეურნეობა **2880** კვ.მ.
- მოეწყობა სადემონსტრაციო ბაღები **22**ჰა.
- სწავლებას გაივლის **4000**–მდე ფერმერი
- ფერმერებზე მიწოდებული იქნება **266000** ძირი ნერგი;
- განაყოფიერდება **2500** ფური.
- რეგიონის მასშტაბით აღებულ იქნება **700** ნიადაგის სინჯი

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი”–ს ძირითადი საქმიანობები
ბიუჯეტი – **341 504** ლარი

საქმიანობის მიზანი და აღწერა

- ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება;
- ლაბორატორიის აკრედიტაციის სფეროს გაფართოება; საერთაშორისო სტანდარტების (ISO) შესაბამისად;
- სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების მიზნით სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის სფეროში სერვისების ეფექტიანობის გაზრდა.

მოსალოდნელი შედეგი

- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა და ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ეკონომიკური ინტერესების დაცვა;

- სამამულო პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდა;

2015 წლის პრიორიტეტები და დაგეგმილი ახალი პროექტები

- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიზნით აგრარული პოლიტიკის შემუშავება ეროვნული ტრადიციებისა და საერთშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ;
- ✓ რეფორმების დაგეგმვა და განხორციელება;
- ✓ აგროსასურსათო სექტორში წარმოების ზრდის ხელშეწყობა;
- ✓ სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციისა და ექსპორტის ხელშეწყობა;
- ✓ სასურსათო უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა;
- ✓ დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;
- ✓ პროგრამული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

გმადლობთ ყურადღებისათვის

საკონტაქტო კოორდინატები

ბათუმი, აკ. კომახიძის 1. #119

ტელ: 24 78 41

საკონტაქტო პირი: ლევან ბოლქვაძე